ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

დანართი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: შ.პ.ს ,,ალბიონი".

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის სურვილია განახორციელოს:

- [x] **დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა;**
  საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა;
  საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა;
- [ ] პირველი საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- [ ] მეორე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- [ ] მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე: სერგო დურგლიშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრი: ციალა გაგმიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერები: _____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

II. დაწესებულების მისია

შპს კერძო სკოლა ,,ალბიონის" მისიაა:

შ.პ.ს. კერძო სკოლა ,,ალბიონის" მისიაა უსაფრთხო, პოზიტიურ გარემოში ეროვნული ტრადიციების გათვალისწინებით და მაღალკვალიფიციური მომსახურებებით, წარმატებულ ცხოვრებაზე ორიენტირებული, დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიმღები ღირსეული მოქალაქის ჩამოყალიბება.

III. სტანდარტები

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას

შეფასება:

შპს კერძო სკოლა ,,ალბიონი" წარმოადგენს ზოგადსაგანმანათლებლო კერძო სასწავლო დაწესებულებას. მისი მიზანია საზოგადოებასთან და მშობლებთან თანამშრომლობის გზით, შექმნას, ისეთი საგანმანათლებლო სივრცე, რომელიც უზრუნველყოფს განთლებულ, ინტელქტუალურ, ზნეობრივად განვითარებულ და სოციალურად ადაპტირებული პიროვნების აღზრდას. სკოლა ხელს უწყობს ბავშვზე ორიენტირებული გარემოს ფორმირებას.

სასკოლო სასწავლო გეგმა არის ეროვნული სასწავლო გეგმის საფუძველზე შემუშავებული და აზუსტებს სკოლისთვის ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემულ აუცილებელ დატვირთვას, განსაზღვრავს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ დამატებით საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურებას.

სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილებია:

ა) სკოლის მისია;
ბ) სასწავლო წლის კალენდარი. დღის რეჟიმი;
გ) საგანმანათლებლო საფეხურის, კერძოდ დაწყებითი საფეხურის მიზნები და ამოცანები, რადგან სკოლა განახორციელებს მხოლოდ დაწყებითი საფეხურის სწავლებას;
გ) ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული და დამატებით სავალდებულო საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება;
დ) საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზება-სასკოლო დრო, მოსწავლეთა რაოდენობა კლასში;
ე) სასკოლო საათობრივი ბადე, შემაჯამებლების რაოდენობა კლასებისა და საგნების მიხედვით;
ვ) 2018-2019 სასწავლო წლისთვის სახელმძღვანელოების ნუსხა;
ზ) საგნობრივი კათედრები - კათედრების სამუშაო აღწერილობა;
თ) საგანმანათლებლო რესურსები;
ი) მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების სისტემა;
კ) შეფასების რუბრიკები საგნების მიხედვით;
ლ) სადამრიგებლო პროგრამა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერები: _____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

მ) ინკლუზიური განათლება;

სკოლაში მოსწავლეები ყველა იმ სავალდებულო საგანს სწავლობენ, რომელიც ეროვნული სასწავლო გეგმითაა გათვალისწინებული. ამავდროულად სკოლა მოსწავლეებს მე-4 კლასიდან სთავაზობს რუსულ ენას, ხოლო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურების სახით - ჭადრაკს, კვირაში ერთი საათი (I-VI კლასები). ხელოვნების გაკვეთილის ფარგლებში სკოლაში ხშირად ეწყობა სხვადასხვა სახის ღონისძიებები, მოსწავლეები ხალისით ერთვებიან თეატრალურ წარმოდგენებში, ანბანის გაცილების ღონისძიებაში. სკოლამ წარმოადგინა სადამრიგებლო პროგრამა,რომელშიც ძირითადი მიმართულებები გაწერილია ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად,

დასტურდება:

- სასკოლო სასწავლო გეგმით;
- ინტერვიუურებით;
- სადამრიგებლო პროგრამით.

1.2 სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები

შეფასება:

შ.პ.ს კერძო სკოლა ,,ალბიონში" სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით ფუნქციონირებს შემდეგი საგნობრივი კათედრა:

- ჰუმანიტარულ და დაწყებითი საფეხურის კათედრა;
- მათემატიკის,საბუნებისმეტყველო და დაწყებით საფეხურის კათედრა;
- უცხო ენების კათედრა;
- ესთეტიკის,სპორტისა და დაწყებითი საფეხურის კათედრა.

კათედრები აერთიანებს საგნობრივ ჯგუფებში ყველა მასწავლებელს. კათედრები იკრიბებიან სემესტრში ოთხჯერ. კათედრის წევრები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს და აძლევენ უკუკავშირს. სკოლის შინაგანაწესში გაწერილია კათედრის მუშაობის ფუნქციები, კათედრის გამგის უფლებამოსლიება და ვალდებულებები.

სასკოლო სასწავლო გეგმაში მოცემულია შემაჯამებელი დავალებები მე-5 და მე-6 კლასებისთვის, საგნობრივად გაწერილი. დაწესებულებამ წარმოადგინა შემაჯამებლი დავალების ანალიზის ფორმა,რომელშიც გაწერილია შემდეგი მონაცემები: კლასი, საგანი, თარიღი, თემა, საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად - ესგ-ს რომელ მისაღწევ შედეგზე გადის კონკრეტული შემაჯამებელი სამუშაო,შემაჯამებელი სამუშაოს შესრულების ფორმა, შემაჯამებელი სამუშაოს განმავითარებელი შეფასების სქემა. რეკომენდაციები შემდგომი შემაჯამებელი სამუშაოების დაგეგმვისთვის. სასწავლო კვირა არის ხუთდღიანი, საჭიროების შემთხვევაში, დასაშვებია 6 დღიანი სწავლება. გაკვეთილებს შორის ხანგრძლივობა არის I

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერები: _____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

კლასის მოსწავლეებისთვის – 35 წუთი, მეორე კლასებისთვის - 40 წუთი, ხოლო დანარჩენი კლასებისთვის 45 წუთი. შესვენება არის 5 წუთიანი, 10 და 15 წუთიანი. სკოლა მოსწავლეებს უზრუნველყოფს ორჯერადი კვებით.

ინტერვიურებით ირკვევა, რომ I-VI კლასებში სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს გახანგრძლივებული ჯგუფის მომსახურეობას.

დასტურდება:

- სასკოლო სასწავლო გეგმით;
- ინტერვიურებით.

1.3 სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის

შეფასება:

სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმის ერთ–ერთ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს ინკლუზიური განათლება. სასკოლო სასწავლო გეგმის ზემოაღნიშნული ნაწილი თანხვედრაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. სპეციალური საგნმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ჩართვა სასწავლო პროცესში სკოლას ერთ-ერთ პრიორიტეტად ესახება, სკოლის დირექციასთან ინტერვიურებით სკოლას აქვს გამოხატული მზაობა სსსმ მოსწავლის მისაღებად, თუმცაღა ამ ეტაპზე სკოლას არ ჰყავს სსსმ მოსწავლე.

დასტურდება:

- სასკოლო სასწავლო გეგმით;
- ვიზუალური დათვალიერებით.

1.4 სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად

შეფასება:

➢ სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის შეფასების სისტემა.რომელიც თავისთავში აერთიანებს მოსწავლის შეფასების მიზანს, პრინციპებსა და მიდგომებს. სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით, სკოლა იყენებს: განმავითარებელ შეფასებას I-V კლასის II სემესტრამდე, V კლასის II სემესტრსა და VI კლასში კი განმსაზღვრელ შეფასებას. 2018-2024 წწ დამტკიცებული ეროვნული სასწავლო გეგმის - დაწყებითი საფეხური - შესაბამისად. საგნობრივი კათედრების მუშაობის ფუნქციებში გაწერილია: შეფასების კომპონენტის შემუშავება და აღწერა, რაც გულისხმობს კათედრების მიერ წარმოდგენილი მოსწავლეთა შეფასების კრიტერიუმების მრავალმხრივობას, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს: მოსწავლეთა მრავალმხრივ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერები: _____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

განვითარებას, მათი შესაძლებლობების გამოვლენას, სხვადასხვა პოტენციალის მქონე მოსწავლეთათვის თანაბარი პირობების შექმნას. სასკოლო სასწავლო გეგმაში დაწვრილებით არის წარმოდგენილი სკოლაში შეფასების სისტემის მიზანი, პრინციპები და მიდგომები. სკოლამ წარმოადგინა დეტალურად გაწერილი საგაკვეთილო პროცესის აქტივობების შეფასების რუბრიკები. მაგალითად: პრეზენტაციის შეფასების რუბრიკა, დამოუკიდებელი სამუშაოს შეფასების რუბრიკა,ინფორმაციის მოძიების შეფასების რუბრიკა და ა.შ. ასევე სასკოლო სასწავლო გეგმაში სკოლას ე.ს.გ შესაბამისად გაწერილი აქვს - საგნობრივად -შეფასება მიმართულებების მიხედვით, სადაც ყურადღება გამახვილებულია განმავითარებელი შეფასებაზე - თითოეული საგნის მიმართულებით. ანალოგიური შეფასების კრიტერიუმები და რუბრიკები, ინახებოდა შესაბამისი კათედრის პედაგოგების პორთფოლიოში. პედაგოგებთან ინტერვიურებით, V-VI კლასებში მათი ნაწილი იყენებს განმსაზღვრელ შეფასებასთან ერთად განმავითარებელ შეფასებასაც. სკოლას შინაგანაწესში აქვს მშობლის ინფორმირების წესი, სადაც გაწერილია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ ინფორმაციის მიწოდების ფორმები.

დასტურდება:

- სასკოლო სასწავლო გეგმით;
- შინაგანაწესით;
- შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერები: _____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

1.5 შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით

შეფასება:

სკოლის შინაგანაწესში გაწერილია მშობლებთან ურთიერთობის წესი, სადაც დეტალურად ჩაშლილია მშობლის უფლება-მოვალეობები, რომელიც აისახება მშობლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში. მშობლებთან ინტერვიურებით დადგინდა, რომ სკოლა იყენებს მშობელთა კრების ფორმას მშობლებთან ურთიერთობაში, თუმცაღა კრებისას განიხილება მხოლოდ საერთო ტიპის საკითხები, კრების შემდეგ კი კლასის დამრიგებელი ან კონკრეტული საგნის მასწავლებელი ინდივიდუალურად ესაუბრება მას შვილის აკადემიური მოსწრების შესახებ. სკოლა ცდილობს ჩართოს მშობელი სასწავლო პროცესში სხვადასხვა ღონისძიებები საშუალებით.

სკოლას შემუშავებული აქვს ე.წ ,,შეფასების ცხრილი", რომელშიც საგნები ჩაშლილია კლასების მიხედვით. დირექციასთან ინტერვიურებით, მშობელს ყოველთვიურად ეგზავნება შევსებული ცხრილი მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების შესახებ კლასის დამრიგებლის მიერ.

დასტურდება:

- ,,შეფასების ცხრილი"-ფორმა;
- ინტერვიურებით.

1.6 შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი

შეფასება:

დაწესებულებამ წარმოადგინა სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებასა და შემდგომ გაუმჯობესების მექანიზმის პროექტის დოკუმენტი. სკოლა ხარისხის უზურუნველყოფის მიზნითა და სასწავლო გეგმის გაუმჯობესების მიმართულებით, სკოლის სასწავლო პროცესში ჩართული სფეროები (დამრიგებელი, კათედრები) წარმოადგენენ შესაბამის სფეროში ანგარიშს, რომლის საფუძველზეც მომდევნო სასწავლო წლისთვის იგეგმება სასკოლო სასწავლო გეგმის გაუმჯობესება.

დასტურდება:

- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დოკუმენტი;
- ინტერვიურებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

_____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:

ა) ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი.

შეფასება:

დაწესებულება მდებარეობს ქ. თბილისში, თემქის დასახლება XI მკ/რ, I კვარტალი. სკოლა საკუთრებაში ფლობს: თემქის დასახლება XI მკ/რ, I კვარტალი, N1 შენობა - ნაგებობის პირველ სართულზე არსებული ფართი შეადგენს 237,37 კვ.მ., მეორე სართულზე - 70,98 კვ.მ. (საკადასტრო კოდი 01.12.02.014.024). თანამესაკუთრე არის ქალაქ თბილისის თვითმმართველის ერთეული, რომელსაც ეკუთვნის შენობა- ნაგებობის N1 - ში პირველ სართულზე - 532,08 კვ.მ. და მეორე სართულზე - 667,68 კვ.მ. ასევე ქალაქ თბილისის თვითმმართველობის ერთეულს ეკუთვნის ნაგებობა N2 და N3.

სკოლას 2017 წლის 25 დეკემბერს 5 წლის ვადით იჯარით აქვს აღებული ფიზიკური პირი მანანა ასათიანიაგან, პ/ნ 01021016938, იმავე მისამართზე შენობა N3 - ში საცხოვრებელი ფართი 26,85 კვ.მ. და შენობა N4 - ში საცხოვრებელი ფართი - 30 კვ.მ., 2/15 წილი (1/1 არის ავტო ფარეხი - 29,62 კვ.მ., 2/15 წილი არის ავტო ფარეხი - 20,22კვ.მ). სულ იჯარით არებულია 56,85 კვ.მ. საცხოვრებელი და 49,84 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართი. იჯარით აღებულ ფართში (106,69 კვ.მ) სარემონტო სამუშაოების მერე განთავსებულია სასადილო, კომპიუტერული და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიები.

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

№	მისამართი: ქ. თბილისში, თემქის დასახლება XI მკ/რ, I კვარტალი.	ფართი
1	საკუთრებაში - შენობა–ნაგებობის საერთო ფართი	308,35კვ.მ.
	იჯარით აღებული (შენობა N3 - ში)	26,8 კვ.მ.
	იჯარით აღებული (შენობა N4 - ში)	30 კვ.მ.
	იჯარით აღებული ავტოფარეხი	29,62 კვ.მ
	იჯარით აღებული ავტოფარეხი	20,22 კვ.მ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

_____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

დასტურდება:

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან N 01.12.02.014.044, 20/12/2017;
- იჯარის ხელშეკრულება ფიზიკურ პირთან მანანა ასათიანი პ/ნ 01021016939, 2017 წლის 25 დეკემბერი;
- შენობის აზომვითი ნახაზი;
- საკუთვრების დამადასტურებელი მოწმობა.

გ) საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: ინდივიდუალური მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით

შეფასება:

დაწესებულებას აქვს 8 საკლასო ოთახი, რომელშიც არის ერთადგილიანი ინდივიდუალური მერხები და სკამები სულ 126 მოსწავლეზე გათვლილი. საკლასო ოთახებში არის მასწავლებლის მაგიდა, სკამი, დაფა და სხვა აუცილებელი ავეჯი. ამის გარდა დაწესებულებაშია: ბიბლიოთეკა, სამასწავლებლო, სადაც ასევე მუშაობს სკოლის ადმინისტრაცია, ექთნის ოთახი, დარაჯის ოთახი, სასადილო, კომპიუტერული და საბუნებისმეტყველო ლაბორატორია,

დასტურდება:

- ვიზუალური დათვალიერებით;
- სასაქონლო ზედნადებებით;
- ჩუქების დოკუმენტაციით;
- საინვენტარიზაციო ჩამონათვალით.

გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი

შეფასება:

სკოლას 250 კვ.მ. სპორტული დარბაზის იჯარის წესით გამოყენების უფლებით, კვირაში 20 საათით სარგებლობის შესახებ ხელშეკრულება აქვს გაფორმებული შ.პ.ს. კერძო სკოლა „თამარიონთან" (მისამართი: თემქის დასახლება XI მკ/რ, II კვარტალი, ს/კ 200013653, დირექტორი გულიკო კვიციანი) სკოლა ,,თამარიონი" მდებარეობს სკოლა ,,ალბიონიდან" დაახლოებით ტრანსპორტით 5-7 წუთის სავალზე, ხოლო ფეხით კი 10 წუთის სავალზე, სპორტული დარბაზი არის დიდი ზომის, მოწესრიგებული, სტანდარტული ტიპის დარბაზი. სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

_____

ბ.ა.

სატრანსპორტო საშუალებით გადაყვანით სპორტულ დარბაზამდე. სპორტის მასწავლებელთან ინტერვიურებით, სკოლა ყურადღებას უთმობს სპორტული ცხოვრების წესის დამკვირდებას, ხშირად აწყობს სპორტულ შეჯიბრებას, მხიარული სტარტების სახით.

დასტურდება:

- ვიზუალური დათვალიერებით;
- ინტერვიურებით;
- 2018 წლის, 17 ივლისის იჯარის ხელშეკრულებით.

დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები

შეფასება: დაწყებით საფეხურზე არ არის გათვალისწინებული ლაბორატორიის გამოყენება, მაგრამ სკოლას შეძენილი აქვს შპს ,,ინსტრა ჯორჯია" - სგან საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის სრული კომპლექტი. სკოლის დირექციასთან ინტერვიურებით, დადგინდა რომ საგანი ბუნებისმეტყველება ხშირად იგეგმება ბიოლოგიის ლაბორატორიის გამოყენებით, რაც მოსწავლებში იწვევს ინტერეს და სიამოვნებით ერთვებიან საგაკვეთილო პროცესში.

დასტურდება:

- ვიზუალური დათვალიერებით;
- მიღება ჩაბარების აქტებით;
- სასაქონლო ზედნადებებით;
- ინტერვიურებით.

2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები

შეფასება:

დაწესებულებას აქვს ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, ყველა ოთახს აქვს ბუნებრივი განათება. სკოლის ნაწილი თბება სკოლაში დამონტაჟებული ბუნებრივ აირზე მომუშავე გათბობის სისტემით, ხოლო სასადილო, კომპიუტერული და საბუნებისმეთყველო ლაბორატორიები დენის გამათბობლებით. სკოლას მიეწოდება ასევე ბუნებრივი აირი და წყალი. სკოლას აქვს 9 სველი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

წერტილი, მათ შორის ერთი ადმინისტრაციისათვის და ერთი ადაპტირებული სსსმ მოსწავლეთათვის. სველ წერტილებში დაცულია ჰიგიენის ნორმები.

დასტურდება:

- ვიზუალური დათვალიერებით;
- გადახდის ქვითრებით.

2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით

შეფასება:

სკოლას აქვს საკუთარი ბიბლიოთეკა, რომელიც ფუნქციონირებს დირექტორის მიერ დამტკიცებული ბიბლიოთეკის დებულებით. ბიბლიოთეკაში სამკითხველო და წიგნსაცავი ერთ სივრცეშია. ბიბლიოთეკაში არის 1 ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდია 852 ერთეული. ყველა წიგნი აღრიცხულია სათანადო წესით. თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ბიბლიოთეკის დებულება. ბიბლიოთეკართან გაფორმებულია ხელშეკრულება.

ბიბლიოთეკაში არ არის სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული ყველა სახელმძღვანელო კლასების მიხედვით, რადგან ვიზიტის მომენტისათვის არ იყო გამოქვეყნებული გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების ნუსხა და არ იყო დაბეჭდილი ახალი სახელმძღვანელოები.

დასტურდება:

- ვიზუალური დათვალიერებით;
- ბიბლიოთეკის დებულებით;
- საინვენტარიზაციო წიგნითა და ანბანური კატალოგით.

2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის

შეფასება:

სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირთათვის. მათ შორის პანდუსი და სველი წერტილი, რომელიც განთავსებულის შენობის პირველ სართულზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა
_____

მ.ა.

ამ მომენტში სკოლას არ ჰყავს მოსწავლე, რომელსაც შეზღუდული აქვს გადაადგილების უნარი.

დასტურდება:

- ვიზუალური დათვალიერებით;

2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი ერთი კომპიუტერი (სპეციფიკაციები) არა უმეტეს 20 მოსწავლეზე. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას

შეფასება:

სკოლაში არის სულ 9 პერსონალური კომპიუტერი და 2 ლეპტოპი, 1 პროექტორი, 1 პრინტერი (კომბაინი). ერთი კომპიუტერი ბიბლიოთეკაშია, ადმინისტრაციის განკარგულებაშია ერთი ლეპტოპი. ყველა კომპიუტერი არის ინტერნეტში ჩართული. სკოლას აქვს ვებ-გვერდი **www.albioni.edu.ge**, რომელიც ასრულებს საინფორმაციო ფუნქციას. დაწესებულება კომუნიკაციისათვის იყენებს ელექტრონულ ფოსტას და სოციალურ ქსელებს, კერძოთ ფეისბუკის გვერდს.

დასტურდება:

- ვიზუალური დათვალიერებით;
- სასაქონლო ზედნადებებით;
- ვებ-გვერდი **www.albioni.edu.ge;**
- დომენის ხელშეკრულებით შპს „სერვ.ჯის" თან.
- ინტერნეტის მოწოდების ხელშეკრულება 'მაგტისთან" და „გლობალ +" თან

2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:

ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;

ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;

გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები;

ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს.

შეფასება:

ა) დაწესებულებას აქვს დებულების პროექტი: „სასწავლო აღმზდელობითი პროცესის უსაფრთოების ზომების და ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფის დებულება“ და სკოლის დირექტორის ბრძანების პროექტი „საგანგებო სიტუაციებისა და სამოქალაქო თავდაცვის ოპერაციული შტაბის სექმნის შესახებ.

დაწესებულებაში არის 3 ცალი ცეცხლმაქრი, რომლებიც არის დატენილი.

ბ) სკოლაში ყველა სართულზე და ყველა საკლასო ოთახში თვალსაჩინო ადგილას გამოკვრულია საევაკუაციო გეგმები, რომელიც დამზადებულია შესაბამისი სამსახურის მიერ.

გ) სკოლას აქვს დირექტორის მიერ დამტკიცებული სამედიცინო კაბინეტის დებულება, სადაც გაწერილია ექთნის ძირითადი ფუნქციები და მოვალეობები. სკოლაში არის სამედიცინო ოთახი, კარადა აღჭურვილი აუცილებელი მედიკამენტებით. სკოლას ჰყავს ექთანი, რომელთანაც გაფორმებულია ხელშეკრულება.

დ) სკოლაში წესრიგს და უსაფრთხოებას უზრუნველყოფს პედაგოგების მორიგეობის მეშვეობით. შესაბამისი ფორმა შემუშავებულია. სკოლას ყავს დარაჯი.

ე) სკოლაში დამონტაჟებულია სტანდარტის მოთხოვნის შესაბამისი უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შემოსასვლელსა და შიდა პერიმეტრის საკვანძო წერტილების კონტროლს. სკოლას აქვს 9 ერთეული კამერა, ოთხი გარე ხედვის კამერა და ხუთი კამერა, რომელიც აკონტროლებს შიდა პერიმეტრს. გარე ხედვის კამერები აკონტროლებენ სკოლის მთავარ შესასვლელს და შენობა N3 და N4 შესასვლელებს. გარე კამერები შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

_____

ბ.ა.

წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს.

დასტურდება:

- ვიზუალური დათვალიერებით;
- „სასწავლო აღმზდელობითი პროცესის უსაფრთოების ზომების და ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფის დებულების“ პროექტი;
- საევაკუაციო გეგმებით;
- სამედიცინო კაბინეტის დებულებით;
- კამერების შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტაციით;
- ექთანთან გაფორმებული ხელშეკრულებით;
- სასაქონლო ზედნადებით.

2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები

შეფასება:

სკოლას შემუშავებული აქვს წესდება და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული შინაგანაწესი, სადაც დეტალურადაა გაწერილი თანამშრომელთა მიღების, სხვა სამუშაოზე გადაყვანის და დათხოვნის წესი, თანამშრომელთა ძირითადი მოვალეობანი, ადმინისტრაციის ვალდებულებანი, სამუშაო დრო და პირობები, შვებულების მიცემის წესი, ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი, თანამშრომელთა ინფორმირების წესი, სამსახურში არყოფნის ინფორმირების წესი და ღონისძიებები, წახალისება, შრომის დისციპლინის დარღვევა, მასწავლებლის, მშობლის უფლება-მოვალეობები, მოსწავლის ვალდებულებები, მოსწავლის წახალისება და შეუფერებელი ქცევის შედეგები, სკოლის შიდა კონტროლის სისტემა. სკოლას აქვს საშტატო განრიგი, რომელიც შესაბამისობაშია სკოლის შინაგანაწესთან.

დასტურდება:

- სკოლის შინაგანაწესით;
- სკოლის წესდება;
- სკოლის საშტატო განრიგით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

_____

ბ.ა.

2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს

შეფასება:

დაწესებულებას აქვს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სტრატეგიული განვითარების ერთწლიანი და ექვსწლიანი გეგმა 2018 – 2024 წწ. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა შემუშავებულია სკოლის მიზნებზე დაყრდნობით, გამომდინარეობს სკოლის განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმიდან და მიზნად ისახავს სკოლის ამოცანების შესრულებას.

დასტურდება:

- ერთწლიანი სამოქმედო გეგმით;
- სტრატეგიული განვითარების ექვსწლიანი გეგმით.

2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა

შეფასება:

სკოლაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა სკოლის საქმის წარმოების წესის მიხედვით. იწარმოება შემდეგი აღრიცხვის ჟურნალები: სხვადასხვა ტიპის ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალი, შემოსული დოკუმენტაციის რეგისტრაციის ჟურნალი, გასული დოკუმენტაციის რეგისტრაციის ჟურნალი; შრომითი ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი, მოსწავლეთა ანბანური ჟურნალი, რომლებიც აკინძულია წესის შესაბამისად.

დასტურდება:

- თანამშრომელთა ხელშეკრულებების აღრიცხვის ჟურნალით;
- შემოსული დოკუმენტების აღრიცხვის ჟურნალით;
- გასული დოკუმენტების აღრიცხვის ჟურნალით;
- საკადრო ტიპის ბრძანებების ჟურნალით;
- საერთო ტიპის ბრძანებების ჟურნალით.

3. ადამიანური რესურსი

3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

შეფასება:

სკოლას შემუშავებული აქვს 2018-2019 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი. სწავლებას ახორციელებს 14 პრაქტიკოსი და 2 უფროსი მასწავლებლით. გარდა ამისა, სასკოლო სასწავლო გეგმის შესრულებაზე ზრუნავს სკოლის დირექცია, რომლის შემადგენლობაში შედის: სკოლის დირექტორი, ბუღალტერი. ასევე სკოლას 2018-2019 სასწავლო წლის საშტატო განრიგით გათვალისწინებული ჰყავს შემდეგი პერსონალი: იურისტი, ბიბლიოთეკარი, ინფ.მენეჯერი, მზარეული, ექთანი, დარაჯი, მძღოლი, დამხმარე მუშა, 2 დამალაგებლი, 6 აღმზრდელი.

დასტურდება:

- პირადი საქმეებით;
- ტექნიკურ პერსონალთან და პედაგოგებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით და პირადი საქმეებით;
- 2018-2019 წლების სასკოლო სასწავლო გეგმით;
- 2018-2019 სასწავლო წლის შინაგანაწესის პროექტით;
- 2018-2019 სასწავლო წლის საშტატო განრიგის პროექტი;
- სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ბაზა.

3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად

შეფასება:

სკოლის პედაგოგები შერჩეული არიან სასკოლო სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. სკოლის პედაგოგთა კვალიფიკაცია, მათ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, შეესაბამება საქართველოს კანონის „ზოგადი განათლების შესახებ" და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. სკოლას ჰყავს 14 პრაქტიკოსი მასწავლებელი და 2 უფროსი მასწავლებელი.

დასტურდება:

- პირადი საქმეებით.

3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

სკოლის შინაგანაწესში გაწერილია: თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა.

დასტურდება:

- სკოლის შინაგანაწესით.

3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები

შეფასება:

სკოლამ წარმოადგინა პედაგოგებიის და დირექცია/ადმინისტაციასიის წევრების შრომითი ხელშეკრულება, რომლებიც ძალაში შევა 2018 წლის 03 სექტმბრიდან. ხელშეკრულება მოიცავს შემდეგი სახის ინფორმაციას: ზოგადი დებულებები, ხელშეკრულების საგანი, სამუშაოს შესრულება, ხელშეკრულების მხარეთა უფლებები და მოვალეობები, შრომის ანაზრაურება, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა, კონფიდენციალურობა, შრომითი დავების გადაწყვეტა, გარდამავლი დასკვნითი დებულებები, მხარეთა რეკვიზიტები და ხელომოწერა.

დასტურდება:

- მასწავებლებთან გაფორმებული ხელშეკრულობებით;
- ადმინისტრაცია/დირექციასთან გაფორმებული ხელშეკრულება.

3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები

შეფასება:

სკოლამ წარმოადგინა პროფესიული განვითარების სასკოლო პროგრამა, რომელშიც გაწერილია აქტივობები, შესაბამისი შესრულების დროის, პასუხსიმგებელი პირი, ადამიანური რესურსის პროფესიულ განვითარების მიმართულებები და მექანიზმები. სკოლა ჩართულია „მასწავლებელთა საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში". კათედრის სხდომებზე განიხილება ურთიერთთანამშრომლობის საკითხები,

დასტურდება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

- სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმების დოკუმენტი;
- პროფესიული განვითარების ხელშეწყობისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მექანიზმების დოკუმენტი;
- ინტერვიუებით.

3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას

შეფასება:

შპს სკოლა ,,ალბიონი" მოქმედებს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. სკოლაში დაცულია კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, სასკოლო საზოგადოების ნებისმიერ წევრს აქვს აზრის გამოხატვის თავისუფლება. სკოლის შინაგანაწესი, რომლითაც სკოლა მოქმედებს, თითოეულ თანამშრომელს შესაძლებლობას უქმნის საკუთარი შესაძლებლობის მაქსიმალურად ხარისხიანად გამოვლენისას. მასწავლებლები უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, შემუშავებულია თანამშრომლობისა და შესაძლებლობების გამოვლენის აქტივობები.

დასტურდება:

- სკოლის შინაგანაწესით;
- ინტერვიურებით.

- თუ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველი სამი საფეხურის განხორციელება ექსპერტთა ჯგუფი ამასთანავე ავსებს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დაკვნის ფორმას პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე.

IV. თანდართული დოკუმენტაცია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

_____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

თბილისი

20 ივლისი 2018 წელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

_____

ბ.ა.